

➤ პროგრამის სახელწოდება

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

➤ პროგრამის განხორციელების ენა

ქართული

➤ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური

დაწყებითი

➤ განათლების დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს, ხოლო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის/სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგები – ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

(ეროვნული სასწავლო გეგმა მუხლი 1, პუნქტი 5)

➤ სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლა, ქ. საჩხერე, ლაშა ლაშხის ქ. N1

I. დეტალური ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

➤ პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგები, საგნობრივი ჯგუფების მიხედვით

დაწყებითი საფეხურის ფარგლებში საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულ თემებსა და შუალედური მიზნის დავალებებში მუშავდება ქვემოთ მოცემული სამიზნე ცნებები, რაც ხელს უწყობს სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

ინფორმაცია თითოეული საგნის, კლასისა და სემესტრის/სემესტრების შესახებ იხ. სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივი კურიკულუმების გეგმებში.

საგნობრივი ჯგუფი - ქართული ენა და ლიტ-ა
საგანი - ქართული ენა და ლიტ-ა (I-VI კლასები)

ქართ.დაწყ.(I).1	სტრატეგიების გამოყენებით, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების მოსმენა/წაკითხვა და გაგება ცოდნა-გამოცდილების გამდიდრების მიზნით.	ტექსტი (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)
ქართ.დაწყ.(I).2	გაწაფული კითხვა ტექსტების შინაარსის შეუფერხებელი წვდომისთვის.	სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)
ქართ.დაწყ.(I).3	საკუთარი ან/და ლიტერატურული გამოცდილების გამოყენება ტექსტში მოცემული ინფორმაციის (მაგ., პერსონაჟის ქცევის) შეფასების, პირადი დამოკიდებულების გამოხატვის მიზნით.	(შედეგები: (I).4, 5, 6) გრამატიკა (პრაქტიკული)
ქართ.დაწყ.(I).4	სტრატეგიების გამოყენებით, მცირე ზომის ტექსტების შედგენა სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულზე რეაგირების, ამბის გადმოცემის).	(შედეგები: (I).5, 6) წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (I კლასისთვის)
ქართ.დაწყ.(I).5	ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და ლექსიკის ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად (მაგ., წაკითხულის გაგება-გააზრებისას, ახალი ტექსტის შედგენისას).	(შედეგები: (I) 2, 4, 6)
ქართ.დაწყ.(I).6	ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში ადეკვატური სამეტყველო ქმედების განხორციელება.	დეკოდირება-კოდირება (I კლასისთვის) (შედეგები: (I). 2, 4, 6)
ქართ.დაწყ.(II). 1	სტრატეგიების გამოყენებით, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების მოსმენა/წაკითხვა და გაგება ცოდნა-გამოცდილების გამდიდრების, ინფორმაციის მოპოვების მიზნით.	ტექსტი (შედეგები: (II). 1,2,4,5)
ქართ.დაწყ.(II). 2	საკუთარი ან/და ლიტერატურული გამოცდილების, რეალური ფაქტების ცოდნის გამოყენება ტექსტის ინტერპრეტირების, შეფასების, პირადი დამოკიდებულების გამოხატვის, დასკვნების გამოტანის თუ ახსნა-დასაბუთების მიზნით.	სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე) (შედეგები: (II). 4,5,6)
ქართ.დაწყ.(II). 3	სტრატეგიების გამოყენებით, ნაცნობი ჟანრის ტექსტების შედგენა სხვადასხვა მიზნით (მაგ., თვითგამოხატვის, შთაბეჭდილების გადმოცემის, წაკითხულის ინტერპრეტირების).	გრამატიკა (შედეგები: (II). 1,3,4,6)

ქართ.დაწყ.(II). 4	ენობრივ-გრამატიკული ფორმების, ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ამოცნობა და ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად (მაგ., ტექსტების ინტერპრეტირებისას, შექმნისას).	
ქართ.დაწყ.(II). 5	ჟანრული მახასიათებლების ცოდნის, ნასწავლი ლექსიკის მიზნობრივად გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად (მაგ., ნაცნობი ჟანრის ტექსტის შედგენისას).	
ქართ.დაწყ.(II). 6	სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლების გათვალისწინებითა და სათანადო ენობრივი საშუალებების გამოყენებით.	

საგნობრივი ჯგუფი - მათემატიკა

საგანი - მათემატიკა (I-VI კლასები)

მათ.დაწ.(I).1	მათემატიკური ცნებების, ტერმინების და აღნიშვნების კორექტულად გამოყენება ყოფითი ან მათემატიკური პრობლემის გასააზრებლად და წარმოსადგენად.	მათემატიკური მოდელი მათ.დაწ.(I). 1,2,3,4,5,6 კანონზომიერება მათ.დაწ.(I). 1,2,3,4,5,6 ლოგიკა (მსჯელობა, დასაბუთება) მათ.დაწ.(I). 1,2,3,4,5,6
მათ.დაწ.(I).2	რიცხვებს შორის, სიდიდეებს შორის, საგნებსა და საგნების ატრიბუტებს შორის კანონზომიერების ამოცნობა, აღწერა და გაგრძელება მათემატიკური, საბუნებისმეტყველო ან ყოფითი მოვლენების გასააზრებლად.	
მათ.დაწ.(I).3	რეალური მოვლენის ანალიზის დროს მიზეზშედეგობრივი კავშირების გარკვევა და ახსნა, ლოგიკური მსჯელობით, შესაბამისი ლოგიკური ტერმინების გამოყენებით უმარტივესი დასკვნის გამოტანა, მსჯელობის ხაზის განვითარება;	
მათ.დაწ.(I).4	ყოველდღიურ ცხოვრებაში ობიექტებსა და პროცესებში მათემატიკური ცნებების, მოდელებისა და მიმართებების შემჩნევა, მათი თვისებების გამოყენება მათემატიკური მოდელის აგებისას, პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისას;	
მათ.დაწ.(I).5	პრობლემის გადასაჭრელად მათემატიკური მეთოდების ანდა თვალსაჩინოების საშუალებით ზუსტი ან მიახლოებითი გამოთვლების შესრულება და მათი შედეგების შეფასება;	
მათ.დაწ.(I).6	პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება, მოწესრიგება, კლასიფიცირება, წარმოდგენა მათემატიკური მოდელების გამოყენებით, მონაცემების ელემენტარული ანალიზი და შედეგების ინტერპრეტაცია.	
მათ.დაწ.(II).1	მათემატიკური ცნებების, ტერმინების და აღნიშვნების კორექტულად გამოყენება ყოფითი ან მათემატიკური პრობლემის გასააზრებლად და წარმოსადგენად.	მათემატიკური მოდელი
მათ.დაწ.(II).2	რიცხვებს შორის, სიდიდეებს შორის, საგნებსა და საგნების ატრიბუტებს შორის კანონზომიერების ამოცნობა, აღწერა და გაგრძელება მათემატიკური,	

	საბუნებისმეტყველო ან ყოფითი მოვლენების გასააზრებლად.	მათ.დაწ.(II). 1,2,3,4,5,6
მათ.დაწ.(II).3	რეალური მოვლენის ანალიზის დროს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გარკვევა და ახსნა, ლოგიკური მსჯელობით, შესაბამისი ლოგიკური ტერმინების გამოყენებით უმარტივესი დასკვნის გამოტანა, მსჯელობის ხაზის განვითარება;	კანონზომიერება მათ.დაწ.(II). 1,2,3,4,5,6
მათ.დაწ.(II).4	ყოველდღიურ ცხოვრებაში ობიექტებსა და პროცესებში მათემატიკური ცნებების, მოდელებისა და მიმართებების შემჩნევა, მათი თვისებების გამოყენება მათემატიკური მოდელის აგებისას, პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისას;	ლოგიკა (მსჯელობა, დასაბუთება) მათ.დაწ.(II). 1,2,3,4,5,6
მათ.დაწ.(II).5	პრობლემის გადასაჭრელად მათემატიკური მეთოდების ანდა თვალსაჩინოების საშუალებით ზუსტი ან მიახლოებითი გამოთვლების შესრულება და მათი შედეგის შეფასება;	
მათ.დაწ.(II).6	პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება, მოწესრიგება, კლასიფიცირება, წარმოდგენა მათემატიკური მოდელების გამოყენებით, მონაცემების ელემენტარული ანალიზი და შედეგების ინტერპრეტაცია.	

საგნობრივი ჯგუფი - უცხოური ენები

საგანი - ინგლისური ენა (I-VI კლასები)

Iუცხ.დაწყ.(I)1.	ნასწავლი ლექსიკური ერთეულებისა და გამონათქვამების ცოდნის გამოყენებით დიდაქტიზებული ტექსტების მოსმენა/მოსმენა-ყურება და გაგება კონკრეტული ინფორმაციის მოსაპოვებლად.	ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)
Iუცხ.დაწყ.(I)2.	ნასწავლი ლექსიკური ერთეულებისა და გამონათქვამების ცოდნის გამოყენებით მარტივი ტექსტების წაკითხვა და გაგება კონკრეტული ინფორმაციის მოსაპოვებლად.	სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)
Iუცხ.დაწყ.(I)3.	სიტყვების წერილობით და ხმოვან ხატებს შორის არსებული მიმართებების დაცვით ტექსტების გაწაფულად კითხვა შინაარსის შეუფერხებელი წვდომისთვის.	
Iუცხ.დაწყ.(I)4.	ნაცნობ თემატიკაზე ზეპირი ინტერაქცია მარტივი ენის გამოყენებით.	
Iუცხ.დაწყ.(I)5.	უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ბგერების, გამოთქმისა, მახვილებისა და ინტონაციის დაცვით საბავშვო ტექსტების (მაგ., ლექსების, სკეტჩების, გათვლების) ზეპირად თქმა საკომუნიკაციო უნარების გასავითარებლად.	ენობრივი საშუალებები შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)
Iუცხ.დაწყ.(I)6.	ნასწავლი სიტყვების, წინადადებების გამოყენებით მარტივი, მოკლე ტექსტის დაწერა ნიმუშის მიხედვით (მაგ., მისალოცი ბარათი).	
Iუცხ.დაწყ.(I)7.	ყოველდღიურობასთან დაკავშირებული სოციოკულტურული რეალიების ამოცნობა, მშობლიურ რეალიებთან შედარება და მათ შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების წარმოჩენა (მაგ., საკუთარი სახელი და მათი კნინობითი ფორმები).	
Iუცხ.დაწყ.(II) 1.	ნასწავლი ლექსიკური ერთეულების, ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნის გამოყენებით მარტივი ტექსტების მოსმენა/მოსმენა-ყურება და გაგება ძირითადი შინაარსის გასაგებად;	ტექსტი (შედეგები: (II) 1, 2, 3, 4)

Iუცხ.დაწყ.(II) 2.	ნასწავლი ლექსიკური ერთეულების, ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნის გამოყენებით მარტივი ტექსტების წაკითხვა და გაგება საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად.	სამეტყველო ქმედება (შედგები: (II) 3, 4, 5)
Iუცხ.დაწყ. (II) 3.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ილუსტრაციებზე დაყრდნობით ან ნიმუშისა მიხედვით დიალოგის წარმართვა, მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა ნაცნობ თემებზე სალაპარაკოდ ან პრეზენტაციის გაკეთება.	
Iუცხ.დაწყ.(II)4 .	ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და ნიმუშების გამოყენებით მცირე ზომის ტექსტების წერა საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;	ენობრივი საშუალებები (შედგები: (II)1, 2, 3, 4, 5)
Iუცხ.დაწყ. (II) 5.	სხვადასხვა ქვეყნის სოციოკულტურულ კონტექსტებსა და კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების გაგება და დაფასება.	კულტურათა დიალოგი (შედგები: (II) 5)

საგანი - გერმანული ენა (III- VI კლასები)

IIუცხ.დაწყ.1.	ლექსიკური ერთეულების, ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნის გამოყენებით სხვადასხვა ჟანრის ტექსტების მოსმენა/მოსმენა-ყურება და გაგება საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად.	ტექსტი (შედგები: 1,2,3,4,5)
IIუცხ.დაწყ.2.	ლექსიკური ერთეულების, ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნის გამოყენებით სხვადასხვა ჟანრის ტექსტების წაკითხვა და გაგება საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად.	სამეტყველო ქმედება (შედგები: 3, 4, 5, 6)
IIუცხ.დაწყ.3.	ლექსიკური ერთეულების, ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნის გამოყენებით ლაპარაკი კომუნიკაციის დასამყარებლად განსხვავებულ ფიზიკურ თუ ვირტუალურ საკომუნიკაციო სიტუაციებში.	ენობრივი საშუალებები (შედგები: 1,2,3,4,5,6)
IIუცხ.დაწყ.4.	ლექსიკური ერთეულების, ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნის გამოყენებით წერა კომუნიკაციის დამყარების მიზნით განსხვავებულ საკომუნიკაციო სიტუაციებში, ტრადიციულ თუ ელექტრონულ ფორმატში.	კულტურათა დიალოგი (შედგები: 5, 6)
IIუცხ.დაწყ.5.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ინტერაქციის წარმართვა ან სხვების ინტერაქციაში ჩართვა ნაცნობ თემებზე ინფორმაციის გასაცვლელად, მოსაზრებების, დამოკიდებულებების გასაზიარებლად.	
IIუცხ.დაწყ.6	სხვადასხვა ქვეყნის სოციოკულტურულ კონტექსტებსა და კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების გაგება, დაფასება და გაზიარება განსხვავებულ ენობრივ-კულტურულ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის დიალოგის ხელშეწყობის მიზნით.	

საგნობრივი ჯგუფი - საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგანი - მე და საზოგადოება (III- IV კლასები)

საზ.მეც.დაწყ.(I).1.	საკუთარი თავის აღქმა უნიკალურ პიროვნებად, საზოგადოებრივი ჯგუფების (მაგალითად, ოჯახის, სამეგობროს, სკოლის) წევრად წარმატებული სოციალიზაციისა და თვითგამოხატვისთვის.	პიროვნება (საზ.მეც.დაწყ. (I). 1,2,3,6,7)
საზ.მეც.დაწყ.(I).2.	ასაკის შესატყვისი ზნეობრივი ღირებულებებისა და საზოგადოებაში მიღებული ეთიკის ნორმების (სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, განსხვავებულობის მიმღებლობა) გათავისება; რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან მათი დაკავშირება სოციუმში ადეკვატურად და ეთიკურად მოქმედებისთვის.	საზოგადოება (საზ.მეც.დაწყ.(I). 1, 2, 3, 4, 6)
საზ.მეც.დაწყ.(I).3.	ჯანსაღ ცხოვრებასთან, სამოქალაქო უსაფრთხოებასთან (საგანგებო და ცხოვრებისეულ სიტუაციები: საგზაო უსაფრთხოება, კატასტროფების რისკის შემცირება), ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა საკუთარი თავის, საზოგადოების წევრების, ქვეყნის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოსავლენად.	ინსტიტუცია (საზ.მეც.დაწყ.(I). 4) ზრუნვა (საზ.მეც.დაწყ.(I). 1, 2, 3, 4)
საზ.მეც.დაწყ.(I).4.	ინსტიტუციების ფუნქციების გააზრება საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვისთვის.	
საზ.მეც.დაწყ.(I).5.	მოვლენების, ცხოვრებისეული საკითხების დროში ცვალებადობის გაანალიზება საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების, პრობლემების გასააზრებლად.	ცვლილება (საზ.მეც.დაწყ.(I). 5)
საზ.მეც.დაწყ.(I).6.	ემოციების ამოცნობა და სახელდება განსხვავებული კულტურის, რელიგიის (აღმსარებლობის), ეროვნების, შესაძლებლობების, შეხედულების ადამიანების მიმართ შემწყნარებლობის გამოსავლენად;	
საზ.მეც.დაწყ.(I).7.	საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა, მისი მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება, რესურსების რაციონალურად დაგეგმვა და დაზოგვა ასაკის შესატყვისი სამომხმარებლო და ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად, სხვადასხვა პროფესიის საჭიროებისა და მნიშვნელობის გასაცნობიერებლად.	

საგანი - ჩვენი საქართველო (V-VI კლასები)

საზ.მეც.დაწყ. (II).1.	საქართველოს სხვადასხვა მხარისთვის დამახასიათებელი ლანდშაფტების დახასიათება და ერთმანეთთან შედარება ქვეყნის კლიმატური პირობების მრავალფეროვნების ჩამოყალიბების მიზეზების გასააზრებლად;	სივრცე (მხარე, რეგიონი) (საზ.მეც.დაწყ.(II) 1)
საზ.მეც.დაწყ. (II).2.	საქართველოს სხვადასხვა მხარისთვის დამახასიათებელი მეურნეობის დარგების ერთმანეთთან შედარება საქართველოს მოსახლეობის ყოველდღიური ყოფისა და ეთნოგრაფიული ტრადიციების მრავალფეროვნების გასააზრებლად;	მეურნეობა (საზ.მეც.დაწყ.(II) 2,4,5)
საზ.მეც.დაწყ. (II).3.	ლეგენდების, მითების, თქმულებების, ისტორიული მოვლენების, პიროვნებების მოღვაწეობის ლოკალურ გარემოსთან და ქრონოლოგიასთან დაკავშირება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გასაცნობიერებლად და მის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოსავლენად;	დრო (ცვლილება) (საზ.მეც.დაწყ. (II) 3, 5) საზოგადოება (საზ.მეც.დაწყ.(II) 5)

საზ.მეც.დაწყ. (II).4.	საქართველოს ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების დახასიათება მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური განწყობის ჩამოსაყალიბებლად;	მრავალფეროვნება (ყოფითი თავისებურებები) (საზ.მეც.დაწყ.(II) 4) სახელმწიფო (საზ.მეც.დაწყ.(II)5,6)
საზ.მეც.დაწყ. (II).5.	საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/მოვლენების (მაგ. ჯანსაღი ცხოვრება, სამოქალაქო უსაფრთხოება, კატასტროფების რისკის შემცირება) გააზრება სივრცე-დროით ჭრილში; საკუთარი ჩართულობით მათი გამოსწორების მექანიზმების გასაცნობიერებლად;	
საზ.მეც.დაწყ. (II).6.	ინსტიტუციების (სახელმწიფო, საზოგადოებრივი, რელიგიური) ფუნქციების გაანალიზება სახელმწიფოს რაობისა და ფუნქციონირების მექანიზმების გასააზრებლად.	

საგნობრივი ჯგუფი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
საგანი - ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები)

ბუნ.დაწყ.(I).1	პრაქტიკული აქტივობებისა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით სხეულების შემადგენელი ნივთიერებების/მასალების თვისებების აღწერა მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დასადგენად / გასაანალიზებლად.	სხეული (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5) მოვლენა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5)
ბუნ.დაწყ.(I).2	პრაქტიკული აქტივობებისა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენის აღწერა და მარტივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა.	სივრცეში ორიენტირება (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5)
ბუნ.დაწყ.(I).3	პრაქტიკული აქტივობებისა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ორგანიზმთა ჯგუფების სასიცოცხლო თვისებებისა და საბინადრო / საარსებო გარემოს აღწერა და ცოცხალ და არაცოცხალ სამყაროს შორის კავშირების დადგენა.	ორგანიზმი, საარსებო გარემო (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5)
ბუნ.დაწყ.(I).4	პრაქტიკული აქტივობებისა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით გარემოს დაცვის აუცილებლობაზე მსჯელობა მისი მნიშვნელობის დასასაბუთებლად.	გარემოს დაცვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5)
ბუნ.დაწყ.(I).5	პრაქტიკული აქტივობებისა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ჰიგიენის ელემენტარული წესების დაცვა ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით.	

ბუნ.დაწყ.(II).1	პრაქტიკული აქტივობებისა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით სხეულების შემადგენელი ნივთიერებების / მასალების თვისებების აღწერა მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დასადგენად / გასაანალიზებლად.	სხეული შედეგები: 1, 2, 3, 4, 5
ბუნ.დაწყ.(II).2	პრაქტიკული აქტივობებისა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენის	მოვლენა, პროცესი შედეგები: 1, 2, 3, 4, 5

	აღწერა მარტივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად.	
ბუნ.დაწყ.(II).3	პრაქტიკული აქტივობებისა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ორგანიზმთა ჯგუფების სასიცოცხლო თვისებებისა და საბინადრო / საარსებო გარემოს აღწერა ცოცხალ და არაცოცხალ სამყაროს შორის კავშირების დასადგენად.	გეოგრაფიული ობიექტი შედეგები: 1, 2, 3, 4, 5 ორგანიზმი შედეგები: 1, 2, 3, 4, 5
ბუნ.დაწყ.(II).4	პრაქტიკული აქტივობებისა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით მდგრადი განვითარების ზოგიერთი პრინციპის დაცვის აუცილებლობაზე მსჯელობა სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისა და საკუთარი მომავალი ცხოვრების ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით.	მდგრადი განვითარება შედეგები 1, 2, 3, 4, 5
ბუნ.დაწყ.(II).5	პრაქტიკული აქტივობების განხორციელების დროს ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების დაცვა ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და გარემოზე ზრუნვის მიზნით.	

საგნობრივი ჯგუფი - ტექნოლოგიები

საგანი - კომპიუტერული ტექნოლოგიები(II -VI კლასები)

კომპ. ტექ. დაწყ. 1.	პირობითი ნიშნების სისტემის დამოუკიდებლად შემუშავება. პირობითი ნიშნების საშუალებით ინფორმაციის მიღება და გადაცემა.	პირობითი ნიშნები
კომპ. ტექ. დაწყ. 2.	კომპიუტერის ძირითადი ნაწილებისა და კომპიუტერის დამატებითი მოწყობილობების გარჩევა; მარტივი ელექტრონული მოწყობილობის გამართვა, რთული ელექტრონული მოწყობილობის (მაგ: რობოტის) გამართვა.	კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპები
კომპ. ტექ. დაწყ. 3.	ალგორითმის დანიშნულების გააზრება და ალგორითმის დამოუკიდებლად შემუშავება; პროგრამირების ელემენტების (ციკლები, ოპერატორები...) მიზნობრივად გამოყენება ვიზუალური პროგრამირების გარემოში სხვადასხვა კომპიუტერული თამაშებისა და პროგრამების შექმნა.	პროგრამული კოდი (ალგორითმი)
კომპ. ტექ. დაწყ. 4.	კომპიუტერული პროგრამების მიზნობრივი გამოყენება. მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისის სხვადასხვა ელემენტის იდენტიფიცირება.	მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი
კომპ. ტექ. დაწყ. 5.	სადიებო სისტემებთან დამოუკიდებლად მუშაობა. ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციის მოძიება და გაზიარება. ონლაინ სივრცეში ერთობლივი სამუშაოს შესრულება.	ინტერნეტი
კომპ. ტექ. დაწყ. 6.	ციფრული ინფორმაციის მოგროვება, დახარისხება. შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით (ტექსტური რედაქტორი, ცხრილებთან სამუშაო პროგრამა, პრეზენტაციის შესაქმნელი პროგრამა, გრაფიკული რედაქტორი და სხვა) ციფრული ინფორმაციის დამუშავება.	ინფორმაცია
კომპ. ტექ. დაწყ. 7.	ციფრულ სამყაროში საკუთარი და სხვისი უფლებების (მათ შორის საავტორო უფლებების) დაცვა; საკუთარი ანგარიშის უსაფრთხოდ მართვა;	ციფრული მოქალაქეობა

საგნობრივი ჯგუფი - ესთეტიკური აღზრდა
საგანი - მუსიკა (I-VI კლასები)

მუს.დაწყ.1.	ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;	მუსიკა
უს.დაწყ.2.	ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) საშუალებით გარესამყაროზე საკუთარი წარმოდგენების ჩამოყალიბება/განვითარება;	
მუს.დაწყ.3.	გარესამყაროს ამსახველი ხმოვანი გზავნილის ჩასაწერად სხვადასხვა სიმბოლოების გამოყენება მუსიკის, როგორც ერთ-ერთი საკომუნიკაციო ენის გასააზრებლად;	
მუს.დაწყ.4.	მუსიკალური ენის ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლზე მსჯელობა მხატვრული სახის (მაგ. პერსონაჟის, პეიზაჟის) შექმნაში გარესამყაროში მიმდინარე პროცესების შესახებ საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატად;	
მუს.დაწყ.5.	მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა მუსიკით რაიმე მოვლენის აღსაწერად ან ამბის გადმოსაცემად;	
მუს.დაწყ.6.	მუსიკალური ელემენტების (მაგ. ფორმის) გამოყენება იდეის განვითარების გადმოსაცემად და გასააზრებლად.	

საგანი - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-VI კლასები)

ს.გ.დაწყ.(I).1.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებისა და ხერხების გამოყენება ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების), შთაბეჭდილებების გადმოსაცემად ნამუშევარში.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგი: 1, 3, 4)
ს.გ.დაწყ.(I).2.	სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.	
ს.გ.დაწყ.(I).3.	ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა, საუბარი შესაბამისი ტერმინების გამოყენებით საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გასაზიარებლად.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგი: 2, 3, 4)
ს.გ.დაწყ.(I).4.	ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნიმუშების ყოველდღიურ ცხოვრებასთან და საკუთარ შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირება ხელოვნების მრავალფეროვნების აღქმისა და დამოკიდებულების გამომუშავებისათვის.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები (შედეგი: 1,2,3,4) სახვითი ხელოვნების ჟანრები (შედეგი: 1,2,3,4)

ს.გ.დაწყ.(II).1.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებისა და ხერხების მიზანმიმართულად გამოყენება ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების), შთაბეჭდილებების გადმოსაცემად ნამუშევარში.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები). (შედეგი: 1, 3, 4)
ს.გ.დაწყ.(II).2.	სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის მიზანმიმართულად შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.	
ს.გ.დაწყ.(II).3.	ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა, საუბარი (მხატვრული საშუალებები და ხერხები, დარგი, ჟანრი და სხვ.) შესაბამისი ტერმინების გამოყენებით საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შთაბეჭდილებების გასაზიარებლად და აზრის, იდეების გასააზრებლად.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა. (შედეგი: 2, 3, 4) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები (შედეგი: 1,2,3,4)
ს.გ.დაწყ.(II).4.	ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშებში მხატვრული მახასიათებლების ამოცნობა, ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტთან დაკავშირება ხელოვნების მრავალფეროვნების აღქმისა და დამოკიდებულების გამომუშავებისათვის.	სახვითი ხელოვნების ჟანრები (შედეგი: 1,2,3,4) სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები (შედეგი: 1,2,3,4)

საგნობრივი ჯგუფი - სპორტი

საგანი - ფიზიკური აღზრდა (I-VI კლასები)

ფ.ა.დაწ.1	ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობით ფიზიკური თვისებების განვითარება ჯანმრთელობის განსამტკიცებლად.	ფიზიკური თვისებები (ფ.ა.დაწ.1,2,3) ცხოვრების ჯანსაღი წესი (ფ.ა.დაწ.1,2,3) ორგანიზებულობა და თვითკონტროლი (ფ.ა.დაწ.1,2,3)
ფ.ა.დაწ.2	გამაჯანსაღებელ აქტივობებში აქტიური მონაწილეობა ორგანიზებულობის და თვითკონტროლის გამომუშავებისა და განვითარების მიზნით.	
ფ.ა.დაწ.3	ფიზიკურ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში ჩართულობით ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება და ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვა/გამოყენება.	

საგანი - ჭადრაკი (I- II კლასები)

ძირითადი საკითხები	ქვესაკითხები	კავშირი სხვა საგნებთან
საჭადრაკო დაფა	• თეთრი და შავი უჯრები; (ფიგურების საწყისი პოზიცია, ჩვენება)	საკოორდინატო სიბრტყე; კოორდინატი; გეომეტრია-

	<ul style="list-style-type: none"> • ჰორიზონტალური, ვერტიკალური და დიაგონალური ხაზები; • საჭადრაკო დაფის ნაწილები (მაგ.: თეთრების ნახევარი, შავების ნახევარი, ცენტრი, ლაზიერის ფლანგი, მეფის ფლანგი) • საჭადრაკო ნოტაცია 	<p>ოთხკუთხედი, კვადრატ, გეომეტრიული ფიგურები;</p> <p>ციფრების ცოდნა; ჩანაწერის გაკეთება (კოორდინატის ჩაწერა)</p>
ჭადრაკის ფიგურები, მოძრაობის წესები	<ul style="list-style-type: none"> • მეფე, ლაზიერი, ეტლი, კუ, მხედარი, პაიკი; ფიგურების ფერი; • ფიგურების რაოდენობა; • ფიგურების მოძრაობის წესები; • როქი (მოკლე, გრძელი) • ფიგურების ღირებულება 	<p>ორიენტირება სივრცეში, სიბრტყეზე, კოორდინატი პარალელური გადატანა, კანონზომიერება</p> <p>რიცხვები (ალგებრა) (შესაბამისობა ფიგურას და მის ღირებულებას შორის, ფიგურის ძალების შედარება)</p>
ფიგურების საწყისი განლაგება საჭადრაკო დაფაზე, ქცევის წესები	<ul style="list-style-type: none"> • მეფე, ლაზიერი, ეტლი, კუ, მხედარი, პაიკი; ფიგურების ფერი; 	<p>ორიენტირება სივრცეში, სიბრტყეზე, კოორდინატი, პარალელური გადატანა, კანონზომიერება</p>
საჭადრაკო პარტიის მიზანი: ქიში, შამათი	<ul style="list-style-type: none"> • ქიში • შამათი • მუქარა, დაცვა • პატი, შედეგი (მოგება, წაგება, ყაიმი); 	<p>ლოგიკა; კომბინატორიკის საწყისები - ვარიანტების დათვლა; კრიტიკული აზროვნება</p>
თამაში საწყისი პოზიციიდან	<ul style="list-style-type: none"> • ფიგურების განვითარება; • შამათი ერთ სვლაში; • შამათი ორ სვლაში; • მოკლე საჭადრაკო პარტიები (საბავშვო შამათი - შესაძლებელია განხილული იყოს შამათი 2,3,4 სვლაში). 	<p>ლოგიკა; კომბინატორიკის საწყისები - ვარიანტების დათვლა; კრიტიკული აზროვნება; გრაფების საწყისები</p>

➤ საათობრივი ბადე

იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა

➤ მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები

იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა

➤ კლასის და საფეხურის დაძლევა

იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა

➤ სწავლა-სწავლების პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები რეალიზდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- სიღრმისეული სწავლა;

სიღრმისეული სწავლის პრინციპები გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში:

- შუალედური მიზნის დავალებები (საშინაო დავალებები), პირველ რიგში, მოსწავლეების შინაგანი ძალების გააქტიურებას უწყობს ხელს და თითოეულ მოსწავლეს საკუთარი ემოციური, სოციალური და შემოქმედებითი უნარების რეალიზების საშუალებას აძლევს, რასაც მოსწავლისთვის სიამოვნების, კმაყოფილებისა და სიამაყის განცდა მოაქვს და რაც ამაღლებს მის მოტივაციას.
- საგნობრივი კურიკულუმები კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე არის აგებული, კერძოდ, მოსწავლე მიწოდებულ ინფორმაციის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ამუშავებს. ეს ჩანს თემაში - რომელიც გულისხმობს ნაცნობ კონტექსტებს და იძლევა წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას; შუალედური მიზნის დავალებები (საშინაო დავალებები), რომელიც არის კომპლექსური ტიპის და რომელიც ახლოს დგას მოსწავლის გამოცდილების სფეროსთან და თითოეულ მოსწავლეს აძლევს საშუალებას, ნაცნობ კონტექსტებში მოახდინოს ახალი ცოდნის ტრანსფერი. შუალედური მიზნის დავალებებში მუშავდება სამიზნე ცნებები, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს კონკრეტული ცოდნიდან წაიყვანოს ზოგადისკენ.
- საგნობრივი კურიკულუმები ცოდნის 3 კატეგორიის გააქტიურებას უწყობს ხელს, კერძოდ, საკლასო დავალებები ძირითადად ორიენტირებულია დეკლარატიულ ცოდნაზე, შემაჯამებელი დავალებები - პროცედურულზე, ხოლო საშინაო დავალებები - პირობისეული ცოდნის გააქტიურებაზე. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეს, სამივე კითხვას : რა?როგორ?რატომ? გასცეს პასუხი.
- საგნობრივი კურიკულუმები ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას უწყობს ხელს, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე ორიენტირება, რომელიც იძლევა საგანთა შორის კავშირების დამყარების საშუალებას და შუალედური მიზნის დავალებები - რომლებიც უზრუნველყოფენ ცოდნის სხვადასხვა კომპონენტების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას.
- საგნობრივი კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლის სტრატეგიების დაუფლებას, მათში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. შუალედური მიზნის დავალებებში ჩაშენებული შეკითხვები (მაგ, რა სტრატეგიები

გამოვიყენო დავალების შესასრულებლად? რა ნაბიჯები გადავდგა? რა ცოდნა და გამოცდილება დამჭირდება დავალების შესასრულებლად?) საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ სწავლის პროცესზე. ხოლო დავალებების პრეზენტაციების დროს კი მოსწავლემ უნდა უპასუხოს ისეთ კითხვებს, როგორცაა: რა სტრატეგიები გამოვიყენე? რას გავაკეთებდი განსხვავებულად თავიდან რომ ვიწყებდე დავალების შესრულებას?...

➤ სასკოლო შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების სტრატეგიების აქტიურად გამოყენება, არჩევანის თავისუფლება და კურიკულუმების მოქნილობა, ხელს უწყობს მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში.

• პოზიტიური სასწავლო გარემო;

საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია გასული წლის ანალიზზე დაყრდნობით, შესაბამისად, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთ ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები, რაც საჭიროა პოზიტიური გარემოს შესაქმნელად. საგნობრივ კურიკულუმში მოცემული სტრატეგიები, აქტივობები, დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარების განვითარებას, საშუალებას აძლევს მოსწავლეს მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები; შუალედური მიზნის დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, იფიქრონ გლობალურ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

პოზიტიური გარემოს შექმნას სასკოლო კურიკულუმებში გათვალისწინებული **დიფერენცირებული სწავლების** მიდგომებიც უწყობს ხელს. კერძოდ, მათში გათვალისწინებულია:

- მასალის დიფერენცირება (მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტ-ში ტექსტების შინაარსის დიფერენცირება: გამარტივება ან/და სხვა ტექსტის შეთავაზება; მათემატიკაში - ამოცანის პირობის ან სხვა ვარიანტის შეთავაზება და ა.შ.. ასევე ინგლისურ ენაში ენის ცოდნის დონის მიხედვით კლასების დიფერენცირება, რაც თავისთავად მოიაზრებს როგორც მასალი, ისე პროცესის და დავალებების დიფერენცირებას.
- სასწავლო პროცესის დიფერენცირება (მაგალითად, მასწავლებლები იყენებენ სტრატეგიას „გაჩერებებით სწავლება“, სასწავლო მენიუ, პროექტი და სხვ.
- დავალების დიფერენცირებას (მაგ, შუალედური მიზნის დავალებაში პროდუქტის შექმნის სხვადასხვა ვარიანტს სთავაზობენ მოსწავლე: ელექტრონულად , მაკეტის სახით, კომიქსის და ა.შ.
- გარემოს დიფერენცირებას (მაგ, წყვილებში, ჯგუფებში, ინდ. მუშაობა, ასევე სხვადასხვა სივრცეების გამოყენება: ეზო, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია...

დიფერენცირების სწორად წარმართვაში მასწავლებლებს ეხმარება დაგეგმილი სადიაგნოსტიკო შეფასებები, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიები, საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ანალიზები.

• ინკლუზიური განათლება.

საგნობრივი კურიკულუმები და არაფორმალური განათლების აქტივობები ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლაში მიმდინარე პროგრამები, პროექტები და პროფესიული განათლების აქტივობები, სასკოლო რეგულაციები და რესურსები-ხელს უწყობს მოსწავლის უფლებებისა და ღირსების დაცვას, მრავალფეროვნების დაფასებას და სასწავლო პროცესის ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომობას, დემოკრატიის პრინციპების დაცვას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელიც წარმოადგენს სასკოლო გეგმის ნაწილს. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლა უზრუნველყოფს დამატებით მხარდაჭერას (იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა)

- სასწავლო დღის განრიგი, საგაკვეთილო განრიგი/განრიგები, გაკვეთილის/გაკვეთილების ხანგრძლივობა კლასების მიხედვით და სასკოლო კალენდარი.

იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა